

ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება

მომსახურების ფარგლებში ხდება გარკვეულ განცხადებებზე ან დოკუმენტებზე პირი სხელმოწერის ფაქტის დამოწმება. დოკუმენტზე ხელის მოწერის დამოწმების დროს, საკონსულო სამსახურის მხრიდან არ ხდება იმ ფაქტების დადასტურება, რომელიც მოცემულია დოკუმენტში. პრაქტიკაში აღნიშნული მომსახურება გამოიყენება თანხმობების გასაფორმებლად.

საკონსულო სამსახურში შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს მოქალაქის და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის მიმართ სანოტარო მოქმედების შესრულება.

თითოეული პირისთვის და თითოეული ხელმოწერისთვის მომსახურების საფასური ა 5 აშშდოლარი. საფასურის გადახდა ხდება მანი ორდერის (Money Order) მეშვეობით. მომსახურების მისაღებად აუცილებელია საკონსულოში გამოცხადება წინასწარ ჩაწერით.

ხელმოწერის ნამდვილობის დასამოწმებლად საჭიროა შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა:

- მოქმედი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან ასლი (პასპორტი, პირადობის მოწმობა);
- გენერალური საკონსულოს სახელზე გამოწერილი მანი ორდერი(ები).